

შპს „ვილბურ ჰოლდინგ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-13

შპს ვილბურ ჰოლდინგი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულად სახსრები და მათ ეკვივალენტები	293,046	226,109
სავაჭროდ სხვა მოხონებები	386,754	456,264
სხვა პირებზე ავანსებად სესხებადგამულ ფულად სახსრები	534,517	563,562
მარგები	437,026	310,609
სხვა მოგვადანი აქტუვები	23,639	34,137
სულ მოგვადანი აქტუვები	1,674,982	1,590,681
არმატორალური აქტუვები	31,625	22,439
ძირითად საშუალებები	412,843	1,094,310
ინვესტიციები სხვა საწარმოა წილობრივ ინსტრუმენტებში	245,282	692,193
სხვა გრძელვადანი აქტუვები	1,147,878	139,563
სულ აქტუვები	3,512,610	3,539,186
ვალდებულებები		
საიჯროვალდებულება	64,187	81,922
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	3,825
საგადასახად ვალდებულებები	8,673	30,794
მოგვადანი ნასესხები სახსრები	86,245	146,927
სხვა ვალდებულებები	184	381
სულ ვალდებულებები	159,289	263,849
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	2,132,611	1,758,915
გაუნაწილებელ მოგება / (დგროვილი ზარალი)	1,220,710	1,208,148
საკუთარი კაპიტალს სხვა კომპონენტები	-	308,274
სულ საკუთარი კაპიტალი	3,353,321	3,275,337
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,512,610	3,539,186

დირექტორი

ნიკა ურუშაძე

29 სექტემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-13 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს



შპს ვილბურ ჰოლდინგი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	293,046	226,109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	386,754	456,264
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	534,517	563,562
მარაგები	437,026	310,609
სხვა მოკლევადიანი აქტივები	23,639	34,137
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,674,982	1,590,681
არამატერიალური აქტივები	31,625	22,439
ძირითადი საშუალებები	412,843	1,094,310
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	245,282	692,193
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,147,878	139,563
სულ აქტივები	3,512,610	3,539,186
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	64,187	81,922
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	3,825
საგადასახადო ვალდებულებები	8,673	30,794
მოკლევადიანი წასესხები სახსრები	86,245	146,927
სხვა ვალდებულებები	184	381
სულ ვალდებულებები	159,289	263,849
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	2,132,611	1,758,915
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,220,710	1,208,148
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	308,274
სულ საკუთარი კაპიტალი	3,353,321	3,275,337
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,512,610	3,539,186

დირექტორი
ნიკა ურუშაძე
29 სექტემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-13 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს



შპს ვილბურ ჰოლდინგი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტომონაგები	2491849	3195325
საქონლს გაყიდვიდან	2300627	2321293
მომსახურების გაწევიდან	191222	872433
სხვა	0	1599
გაყიდვების თვითღირებულება	-1217720	-1589022
საერთომოგება	1274129	1606303
სხვა საოპერაციოშემოსავალი	0	150
დასაქმებულთა ანაზღაურება	-512174	-337206
ცვლილება / ამორტიზაციის ხარჯი	-30655	-8236
საპროცენტოხარჯი	-26414	-36875
აღმოსაფასებელი და სხვა საოპერაციოხარჯი	-652301	-384374
სულსაოპერაციოხარჯები	-1221544	-766541
საოპერაციომოგება	52585	839762
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯმდებელი განგრძობითი ოპერაციებიდან	52585	839762
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-1021
საანგარიშგებოპერიოდის მოგება / ზარალი	52585	838741

დირექტორი
 ნიკა
 ურუშაძე



29 სექტემბერი, 2023
 თბილისი, საქართველო
 შენიშვნები 6-13 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	2491849	3195325
საქონლის გაყიდვიდან	2300627	2321293
მომსახურების გაწვიდან	191222	872433
სხვა	0	1599
გაყიდვების თვითღირებულება	-1217720	-1589022
საერთო მოგება	1274129	1606303
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	150
დასაქმებულთა ანაზღაურება	-512174	-337206
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-30655	-8236
საპროცენტო ხარჯი	-26414	-36875
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-652301	-384374
სულ საოპერაციო ხარჯები	-1221544	-766541
საოპერაციო მოგება	52585	839762
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	52585	839762
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-1021
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	52585	838741

დირექტორი
ნიკა ურუშაძე



29 სექტემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 9-13 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

შპს ვილბურ ჰოლდინგი
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	31/12/2022	31/12/2021
საკუთარი კაპიტალ საანგარიშგებოპერიოდს დასაწყისში	3275337	873484
წმინდა მოგება	52585	838741
ახალაქციების გამოშვება (შპს-ს შემხვევაში 'კაპიტალს გაზრდა', კოორდინაციის შემხვევაში 'საპროექტული გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათხოვრის დეიდნდ)	-40110	-63519
სხვა ცვლილებები გაწარმოებულ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	65509	1626631
საკუთარი კაპიტალ საანგარიშგებოპერიოდის ბოლოს	3353321	3275337


დირექტორი
 ნიკა ურუშაძე

29 სექტემბერი , 2023
 თბილისი, საქართველო
 შენიშვნები 6-13 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

	31/12/2022	31/12/2021
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3275337	873484
წმინდა მოგება	52585	838741
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზი'	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-40110	-63519
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	65509	1626631
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3353321	3275337

ხელმომწერი პირები:

დირექტორი
ნიკა ურუშაძე



29 სექტემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-13 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ვილბურ ჰოლდინგი დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2020 წლის 01 აგვისტოს. ამ ეტაპზე კომპანიის წილებს ფლობენ:

- კონსტანტინე ჭავჭავაძე - 25%
- გივი გურასპაული - 25%
- გიორგი ხეცურიანი - 25%
- ზურაბ ჭილაძე - 25%

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობა, კომპანია ახორციელებს ინვესტიციებს სხვადასხვა პროფილისა და მიმართულების შვილობილ კომპანიებში.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია:

საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი ილია ჭავჭავაძის 37მ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2022	31/12/2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.702	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.504

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის. კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2022 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო

ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ამონაგები

ამონაგები მოიცავს, პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს. შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მისი შესყიდვის ფასის, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე. ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელ

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
მანქანა დანადგარები	3-10
ავეჯი და ინვენტარი	1-5
სატრანსპორტო საშუალებები	3-5

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების

შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ფინანსური ანგარიშების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2023 წლის 29 სექტემბერს.